ხელშეკრულება № 37
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ნინოწმინდა **13 ივნისი 2022 წელი**

ერთი მხრივ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის წარმოდგენილი მერის **ანივარდ მოსოიანის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, **შპს დრიმ პროჯექტ** შემდგომში ,,მიმწოდებელი" მისი დირექტორი ჰამბარცუმ კაპლანიანის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მთავრობის ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე" 2022 წლის 12 აპრილის N627 განკარგულების, საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ,,ზოგიერთი შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ერთობლივი სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" 2022 წლის 08 ივნისის N 1894 განკარგულების **SMP220001564** და N1015 2022 წლის 10 ივნისის საქართველოს მთავრობის კანგარგულების შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საჭირო საპროექტო მომსახურებების **განსახორციელებელი სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის უზრუნველყოფა"-ზე,** (კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 71300000-საინჟინრო მომსახურებები, შემდეგ თანხაზე: 8220 **(რვაათას ორასოც) ლარი** (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ-"ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება"–საერთო თანხა, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ორგანიზაცია (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" იურიდიულ ან ფიზიკურ პირ, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6 "მომსახურება"- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 "შემსყიდველი"- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი- ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებს ხელშეკრულებას **შპს დრიმ პროჯექტ** სოფლის პროგრამის ფარგლებში საპროექტო მომსახურებების **განსახორციელებელი სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის უზრუნველყოფა"-ზე,** შემდეგ თანხაზე: 8220 **(რვაათას ორასოც) ლარი (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).**

2.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს შემდეგ ობიექტებზე:

დასახელება		**პროქტის დსახელება**	**პროექტის სავარაუდო ღირებულება**
სახელწოდება			
1	რადიონოვკა	1.წყაროების მოპირკეთება;	12000
2	ტამბოვკა	1.სათავე ნაგებობის შემოღობვა	5000
3		2:გარე განათება	5000
4	ფოკა	1.ტუმბოს შეძანა-მონტაჟი	7000
5		2.ხიდის რეაბილიტაცია;	3000

6		3.შიდა გზების მოხრეშვა;	10000
7	ვლადიმიროვკა	1.შიდა გზების მოხრეშვა	10000
8	განძა	1.სასაფლაოს შემოღობვა	15000
9		2.გარე განათება;	5000
10	საღამო	1.თავშეხრის ადგილის მშენებლობა	10000
11	სათხა	1.სპორტდარბაზის რეაბილიტაცია	20000
12	პატარა არაქალი	1.გარე განათება	16000
13	დიდი არაქალი	1.საბავშვო მოედნის კეთილმოწყობა	2500
14		2.ხიდის რეაბილიტაცია	8000
15		3.ატრაკციონების შეძენა და მონტაჟი	5500
16	ოროჯალარი	საბავშვო მოედნებისთვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი	16000
17	გორელოვკა	1.ხიდის რეაბილიტაცია	20000
18	სამება	1.სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	10000
19	ეფრემოვკა	1.მინისტადიონის მშენებლობა (2ეტაპი)	10000
20	ჟდანოვაკანი	1.სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	12000
21	ორლოვკა	1.სპორტდარბაზის რეაბილიტაცია	12000
22	სპასოვკა	1.პირუტყვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	12000
23	დიდი ხანჩალი	1.ხიდის რეაბილიტაცია	3000
24		3.სასაფლაოს შემოღობვა (2ეტაპი)	17000
25	პატარა ხანჩალი	1.პირუტყვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	6000
26		2.სანიაღვრე არხების მოწყობა	10000
27	კათნატუ	1.პირუტყვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	12000

. სტანდარტები

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს და ტექნიკურ სპეციფიკაციებს.

4. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

4.1 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1. ხელშეკრულების ღირებულებას შეადგენს: 8220 (**რვაათას ორასოც**) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

5.3 მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 8220 ლარი

5.4 მიმდინარე წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 00 ლარი

5.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებისა.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი სახელმწიფო შესყიდვით მიღებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისია.**

6.2 თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მათ შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7. მომსახურების გაწევის პირობები

7.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება ეტაპობრივად, **2022 წლის 14 ივლისის ჩათვლით.**

7.2 შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ სათანადო ცვლილებები.

7.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების გაწევის ვადაში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7.4 **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:**

1. განმარტებითი ბარათი; (უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას როგორც არსებული მდგომარეობის შესახებ, ასევე საპროექტო გადაწყვეტილების შესახებ)
2. **სიტუაციური რუკა 1:2000 მასშტაბით;**
3. **გეგმა, ჭრილები, შესაბამისი ნახაზები(განივი და გრძივი პიკეტაჟების მიხედვით);**
4. **სამუშაობის მოცულობათა უწყისი;**
5. **სამუშაოების შესრულების გრაფიკი;**
6. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
7. **ტექნიკური დავალება;**
8. **არსებული სიტუაციის ფოტომასალა;**
9. **საავტორო ზედამხედველობას (სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში);**

7.5 სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას პრეტენდენტმა უნდა იხელმძღვანელოს 2014 წლის 14 იანვრის საქართველოს მთავრობის №55 დადგენილებით დამტკიცებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესით“.

7.6 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, როგორც ალბომის, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით 4 ეგზემპლიარად და ელ. ვერსია PDF და Excel ფაილის სახით CD დისკით.

7.7 პროექტის სამუშაო ვერსია - დაარქივებული Aarchicad_ის ან autocad_ის ფაილების სახით.

7.8 სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა: 4 ეგზემპლიარად და ელ. ვერსიის სახით;

7.9 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა მოხდეს, შემდეგ მისამართზე: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის №43.

7.10 მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულების პერიოდში უნდა განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა.

7.11 მომსახურების გაწევის პერიოდში მიმწოდებლის მიერ საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი ან წერილობითი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

7.12 საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებას იტოვებს შეიტანოს ცვლილებები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო.

7.13 მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები ტერიტორიის ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარება მოხდება ეტაპობრივად, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს ამ ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

8.2 გაწეული მომსახურების ღირებულების დაანგარიშება მოხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ კონკრეტული ობიექტის სამუშაოებისათვის განსაზღვრული თანხის 3 % ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტში ასახული თითოეული ობიექტის სავარაუდო ღირებულების 3 % ოდენობის.

8.3. მიღება-ჩაბარების აქტში (სულ ცოტა) მითითებული უნდა იყოს:

- გაწეული მომსახურების დასახელება;
- გაწეული მომსახურების ღირებულება;
- გაწეული მომსახურების მოცულობა.

8.4 მიმწოდებლისაგან წარმოდგენილი დასრულებული დოკუმენტაციის (ნახაზები, ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია) და **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების კონტროლის მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის** დადებითი დასკვნის შემდეგ შემსყიდველი მიიღებს წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას, რაზეც დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და ასანაზღაურებელ თანხას;

8.5 მომსახურების გაწევის დასრულებულად ჩაითვლება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

8.6 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს.

9. გარანტია

9.1 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა ის შენიშვნა/მოთხოვნა რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკურ ნორმებთან.

9.2 სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი სახელმწიფო შესყიდვით მიღებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიის** მიერ შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს ყველა ის შენიშვნა (არსებობის შემთხვევაში) და საკუთარი ხარჯებით 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს ყველა ის ხარვეზი (წარმოადგინოს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ცვლილება შეტანილი ვერსია), რის შემდეგაც მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება.

9.3 თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა მიმწოდებელმა უნდა განხორციელდეს ანაზღაურების გარეშე;

10. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

10.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

10.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

10.3 ხელშეკრულების მე-16 მუხლის 16.1 პუნქტის ამოქმედების შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხის გადახდის შემდგომ განხორციელდება შესრულებული სამუშაოს თანხის ანგარიშსწორება.

11. ფასები

11.1 შემსყიდველის მიერ მომსახურების გაწევის ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მითითებულ ფასებს.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

12.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

13.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

14. სუბკონტრაქტორები

14.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

14.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

15.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

16.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია შეწყდეს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება.

17.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

17.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17.5 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

17.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

17.7 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხის ანაზღაურება.

17.8 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18. ფორს-მაჟორი

18.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

19.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის ურთიერთშეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

20. გამოყენებული სამართალი

20.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. ხელშეკრულების ენა

21.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

22. შეტყობინება

22.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

23. გადასახადები და დაბეგვრა

23.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

24.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით.

25. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს

25.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

25.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

25.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

25.4 ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

25.5 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ აქვს იურიდიული ძალა.

26. ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები
და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მომწოდებელი:
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	შპს დრიმ პროჯექტ
მის: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ 43	მის: ქ. ნინოწმინდა კარლ მარქს შესახვევი N-2
ს/ს „ლიბერთი ბანკის" ნინოწმინდის ფილიალი	ბანკი: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი LBRTGE22	ს/კ436686123
ა/ნ GE51LB0120146252122000	ბანკის კოდი BAGAGE22
ს/კოდი 236689669	ანგ. ნომერი GE94BG0000000534086162
ა.მოსოიან Anivard Mosoyan Digitally signed by Anivard Mosoyan Date: 2022.06.13 12:02:04 +04'00'	ჰ.კაპლანიან